1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** სოციალური მუშაობა
Social Work

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** სოციალური მუშაობის დოქტორი
Doctor of Social Work

3. **პროგრამის ხელმძღვანელი:** შეფილდ-ჰალამის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი მარკ დოელი

4. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 180 კრედიტი

5. **სწავლების ენა:** ქართული

6. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე:**

სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- აკადემიურ დონეზე სტუდენტები უზრუნველყოს სოციალური მუშაობის პრაქტიკისთვის ფუნდამენტური დისციპლინების კრიტიკული ცოდნით და სოციალური მუშაობის პრაქტიკის თეორიული საფუძვლებით.
- პროფესიულ დონეზე პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სტუდენტები იმ პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც მოეთხოვება სოციალური მუშაობის პრაქტიკას და რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ვალიდური ინსტიტუციების მიერ.
- პროგრამის საბოლოო მიზანია, მიაღწიოს პროფესიული და აკადემიური სტანდარტების ინტეგრაციას და მოამზადოს კრიტიკული რეფლექსიის მქონე პრაქტიკოსი, რომელიც დაინტერესებულია განავითაროს თავისი პროფესიული უნარ-ჩვევები და რომელსაც შეეძლება ინტერვენცია სოციალური პროცესების ყველა დონეზე სოციალური თერაპიის კუთხით.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

მაგისტრის აკადემიური ხარისხი, უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

გასაუბრებაზე შეფასდება სადოქტორო კვლევითი პროექტის (პროსპექტუსი) გეგმა, რომელსაც წარმოადგენს დოქტორნატურაში ჩაბარების მსურველი (იხ. დანართი N1).

8. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შემდეგ სოციალური მუშაობის დოქტორი დაეუფლება ღრმა ცოდნას იმისა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის, რაც აკონსტრუირებს სოციალური მუშაობის პრაქტიკას; გააცნობიერებს პიროვნულ და პროფესიულ ღირებულებებს და მათ გავლენას იმ სამუშაოზე, რასაც სოციალური მუშაკი ასრულებს. მას ეცოდინება, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს სქესს, ასაკს, კლასობრივ კუთვნილებას, სექსუალობას, უნარშეზღუდულობას და სოციალურად სტრუქტურირებული განსხვავებების სხვა ფორმებს მათ პროფესიულ პრაქტიკაზე; ისწავლის, თუ როგორ იმუშაონ ისე, რომ ხელი შეუწყოს სხვადასხვა სერვისის მომხმარებლის გაძლიერებას, რათა არ მოხდეს მათზე ზეწოლა და დისკრიმინაცია.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სოციალური მუშაობის დოქტორები გამოიმუშავებენ სოციალური მუშაობის პრაქტიკის სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის კრიტიკულ გაგებას, ასევე, შეიძენენ ჰოლისტური პრაქტიკის უნარ-ჩვევებს, რომელიც ინდივიდებს განიხილავს პლურალისტური საზოგადოების ფართო კონტექსტში; ისწავლიან, თუ როგორ მოახდინონ თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირება სოციალურ მუშაობაში; ღრმად დაუფლებიან სოციალური მუშაობის ისეთ მეთოდებს, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, ოჯახებთან მუშაობა, ამოცანაზე ორიენტირებული სოციალური მუშაობა, კოგნიტური ბიჰევიორული მუშაობა და ა.შ. მათ ექნებათ შესაძლებლობა,რომმოახდინონ ამმეთოდებისგამოყენებაპრაქტიკისორგანიზაციებში.
სოციალური მუშაობის დოქტორს შეეძლება სერიოზული ინტერვენციის განხორციელება მოწყვლადი ჯგუფების სოციალური რეაბილიტაციისა და ინკლუზიის მიმართულებით, ექნება იმის უნარი, რომ მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის განსაზღვრაში სოციალური პროგრამების ინიცირების და პროფესიული სტანდარტების განსაზღვრის მიმართულებით.

დასკვნის უნარი - დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება, რომ სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - დოქტორანტურის კურსდამთავრებულს შეეძლება კომუნიკაცია დაამყაროს ყველა იმ ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (ექსპერტები, რესპონდენტები, სხვადასხვა სამიზნე, მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.). მას განვითარებული ექნება სოციალური უნარები, კერძოდ, შეეძლება ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი – სოციალური მუშაობის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების/პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, სწავლებისა და კვლევის პროცესში. სოციოლოგიის დოქტორს შეეძლება, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს, ანუ აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში როგორც პროფესორის ასისტენტი ბაკალავრიატის ყველა დონის კურსების საფეხურზე.

ღირებულებები:

ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ✓ სოციალური მუშაობის პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- ✓ კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველ რიგში, მათი ანონიმურობის დაცვა
- ✓ პლაგიატის უარყოფა
- ✓ ქსენოფობიური და ეთნოცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ✓ სოციალური თანასწორიბის პატივისცემა

კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ ზოგადი/ტრანსფერული უნარები: აბსტრაქტული აზროვნება, მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, ახალი იდეების გენერირება, ცოდნის მუდმივი განახლება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, დისკუსიის წარმართვა, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენადა ა.შ.

9. სწავლის მეთოდები:

შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური მეთოდი
2. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა,რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.
3. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები
2. ჯგუფური მუშაობა (cooperative/collaborative)
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
4. შემთხვევის ანალიზი
5. გონებრივი იერიში (Brain storming)
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა FX
0-40	ჩაიჭრა, F

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	**შეფასება**
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
bene cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
rite	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ

	მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

11. სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით:

სოციალური მუშაობის დოქტორანტურის სასწავლო გეგმა მთლიანობაში მოიცავს 180 ECTS კრედიტს. მათ შორის, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 40 კრედიტს, ხოლო დანარჩენი 140 ეთმობა კვლევას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი

1. სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი
2. დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
3. პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები -არანაკლებ 15 კრედიტისა:

1. პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი
2. დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
3. სხვა სასწავლო კურსები: 5-15 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

1. I კოლოკვიუმი
2. II კოლოკვიუმი
3. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 140 კრედიტი

კოლოკვიუმი I და II ფასდება ქულების გარეშე შემდეგნაირად:

summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი(შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

12. დასაქმების სფეროები

სოციალური მუშაობის დოქტორანტურის კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იქნება როგორც აკადემიურ/სამეცნიერო სფეროში საქმიანობის ისე პრაქტიკის კეთების თვალსაზრისით. სოციალური მუშაობის დოქტორს შეუძლია დაიკავოს ძირითადი მენეჯერული პოზიციები ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სააგენტოში, რომლებიც სოციალურ სერვისს ახორციელებს სხვადასხვა სფეროში (ბავშვთა კეთილდღეობა, პენიტენციალური სისტემა, უნარშეზღუდულთა რეაბილიტაცია, მოხუცებზე ზრუნვა, ნარკომანთა და აივ/შიდსით ინფიცირებულთა ადაპტაცია დასხვ.).

იმ პირობებში, როდესაც სოციალური სამუშაო ხდება რეგულირებადი პროფესია, ე.ი. ექცევა სახლმწიფოს პატრონაჟის ქვეშ, მოთხოვნა სოციალურ მუშაკებზე სულ უფრო გაიზრდება, რაც, ცხადია, დასაქმების გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის.

დოქტორანტურის კურსდამთავრებული (დისერტაციის დაცვის შემთხვევაში) უფლებამოსილია მიღოს მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

13. დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამას შეუძლია მიიღოს 5 სტუდენტი ყოველწლიურად.

14. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

გარდა ამისა, თსუ სოციოლოგიის მიმართულებას ემსახურება სარესურსო ცენტრი, რომელიც მოიცავს:

- ექვს გარემონტებულ ოთახს;
- ბიბლიოთეკას;
- უახლესი მოდელის კომპიუტერებსა და პრინტერებს;
- ქსეროკოპირების მანქანებს;
- პროექტორებს;
- ფაქსს, სკანერს და ა.შ.

სარესურსო ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში.

15. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტორო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

დანართი #1

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:
სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400

ხელმოწერა:

თარიღი: